


# სასოფლო-ეზოთი



გაზეთის ფასი:

ხალის მოწარმებით:

თულის „სასოფლო ეზოთის“ რედაქციის: კანტონაში, მელიქიშვილის და ახ. სტამბა ხანის ქუჩაზე პატარის სახლში.

თულის გაზეთ მცხოვრებთათვის აღრები:  
**Въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Мелликова и №.**

გაზეთი თულისში	გაზეთი
და გარეშე ადგილებში:	
საბჭო წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
მარტვილი — 3 —	— 2 მ. —
საბჭო თვისა — 1 მ.	— 1 მ. —

## ვერსია წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

№ 12 1873 წ.

VI

№ 12, 1873 წ.

### შინაარსი:

მმართველობის განკარგულება. ახსნა საბჭო დებულებებისა. წერილი ამბები. ქართული დამამბე. — სამეურნეო ნაწილი, არაფლი...  
 ...სლის თესვა, ქაშის გამოკლება. ახალი ქეთი...  
 ...წლის „შენობა“. საეკიმო ნაწილი. ყვავილის...  
 ...ქობა, ყვავილის დრის წამლობა, დამწვრის მორ...  
 ...წა. სამეცნიერო ნაწილი. ჰერში რა ხდება და...  
 ...უნდა იტოლეს გენერლ მანსკელმა. განცხადება.

## ახსნა საბანკო დებულებებისა

მუხლი ოცდამეცხრე § 29. როგორც გეითქვამს, საამხანაგო ბანკის საქმე ორი: ამხანაგებს აქ ხვს ფული და შეუნახოს შემოტანილი ფული. ფულის შენახვა ამხანაგებისა ორ გეაოია; პირველი, ის შენახვა, რომ ამხანაგს თაეისი წილი შეაქეს; მეორე ის არის რომ ამ წილის გარდა სხვა ფულის უკუგდებისათვის შეაქეს ამანათი და ამის სარგებელს იღებს. საამხანაგო წილის შეტანაზე წინათ გეილაპარკენია. სხვა უკუსაგდებელს ფულს ამხანაგებისა ბანკი იმისთვის უნდა იღებდეს, რომ ამხანაგებს შეანახინოს ფული სარგებლითა და ამითი მოცემაროს ამხანაგობასა. აგრეთვე რადგან ბანკისათვისაც გასასესხებელი ფული საქირო იქნება, ბანკსაც ხელს მოუწართაქ. აქედამ ის ვაიოდი; რომ შესანახათ ფულის მიღება სარგებლით მარტო ამხანაგებისაგან კი არა, გარეშე უცხო კაცისაგანაც შეიძლება. მაგრამ პირველათ კი საქიროა, რომ ბანკმა ამხანაგის ფული აილოს და მერე გარეშე კაცისა. გარეშე კაცისაგანაც მაშინ უნდა

აილოს ბანკმა, თუ საქიროა ფული ამხანაგობისათვის, თუ თითონ ამხანაგებს არა აქეთ რომ თაეიანთ წილს გარდა სხეც შემოიტანონ. ამასდა გარდა რასაკვირველია არ უნდა დაგეაიწყდეს, რომ კანონით ზომაც დანიშნულია, ბანკს რამდენის აღება შეუძლია. მს წინათაც მოხსენებული იყო.

ამას გარდა ამანათათ ფულის მიღების დროს, საბანკო ამხანაგობისათვის უფრო კარგია, რომ დიდხნის ეადა დანიშნონ. ამიტომ რომ თუ უეადოთ ბეერი ფული მიიღო ბანკმა, იქნება მოხდეს ერთიანთ ერთ დროს გატანა მოინდომონ პატრონებმა; ამის გამო ბანკს გაჭირება დაადგება. ამისთვის საქიროა, რომ როცა ფული ეჭირებათ, ყველაამხანაგების სრულმა კრებამ გადასწყვიტოს ეს საქმე; მიიღოს ბანკმა უცხო გარეშე კაცისაგან შესანახათ ფული, თუ არა ყოველთვის საერთო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როცა ბანკისათვის გარეშე კაცისაგან ეალის აღება საქიროა. როგორც საბანკო დებულებაშია მოხსენებული, შესანახათ ფული ერთი ორათ მეტის შეტანა შეიძლება; რაც ამხანაგს წილი აქეს. თუ საამხანაგო წილი ორი თუმანია; ამისთანა ამხანაგს ან გარეშე კაცს შეუძლია ოთხი თუმანი შეიტანოს ბანკში შესანახათა, რომ-

\* თაეი ნაზე პირველი ნომრიდან.

მმართველობის ბებნებით ქველი  
 მანსკელი კიდევ შეიძლება მაისის  
 მრგვლამდინ მიიღონ საზინებში და  
 მსურდგებლათ და ქალაქში სასელო-  
 რეო ბანკში. ამისა გამო ვისაც სო-  
 ჟლებში ქველი ასიგნაციები დარჩე-  
 ნათ, მალე ვცადნონ ახლოს ქალა-  
 ქებში ჩაიტანონ, რომ ახალ ასიგნა-  
 ციებზე გასცვალონ. პირველ მაისში  
 და იმის შემდეგ აღარ მიიღებენ და  
 ბტრონი დაჭკარგავს.

ლისათვისაც სარგებელს აიღებს. თუ ეს ზო-  
მა მეტი გამოჩნდა, ყველა ამხანაგების სა-  
ერთო კრებას ყოველთვის შეუძლია დააკ-  
ლოს. კანონი ამის ნებას აძლევს. რამდენზე  
ნაკლების მიღება აღარ შეიძლება, რომ ეცი-  
თხოთ, ეს ადვილათ შეიძლება გადაწყდეს. ბევრ  
ბანკებში მიღებულია, რომ ანგარიშის სიადე-  
ლისათვის, ხუთშაურობ ნაკლები არ მიიღონ,  
მაგრამ ამხანაგაც ნაკლები შეიძლება მიიღონ  
თუ შემტანი სარგებელს არ თხოვს.


მ უ ლ ი ო ც ლ ა ა თ ე წ მ ი. შესანახავთ  
შემოტანილი ფული ბანკში იმ დრომდინ უნ-  
და დარჩეს, სანამ პატრონი მოითხოვდეს. ყოვე-  
ლის უმიზნოთ პატრონს უნდა მიეცეს შე-  
ნახული ამანათი თავისის სარგებლითა. ამისა-  
თვის საბანკო ამხანაგობა წინათვე თადარიგს  
უნდა იქირდეს, რომ უკმაყოფილება და სამ-  
დურაფი არ შემთხვავს ამხანაგობამ წინათვე  
უნდა იცოდეს, რომ თუ უვადოთ შემოტა-  
ნილია ამანათი ფული, იქნება ისეთი დრო  
მოხდეს, რომ ბევრმა ფულის პატრონმა  
ერთათ მოითხოვოს თავისი ამანათი, რასა-  
კერძოვლია ბანკისთვის ძნელი იქნება. აი ეს  
გაჭირდება რომ არ დადგეს ამხანაგობას, წი-  
ნათვე უფლება აქვს სრულის საერთო კრე-  
ბით დააწესოს ელა, ამდენის და ამდენის  
ხნის ვადით უნდა მიიღონ ბანკის მმართვე-  
ლებმა ყოველი შესანახავთ ამანათთ შე-  
მოტანილი ფულით. ან კიდევ ის წესი და-  
სდონ, რომ ამანათის პატრონმა რამდენიმე  
ხნის წინათ უნდა აცნობოს ბანკის მმართ-  
ველებს, რომ ამა და ამ ვადაზე ფული დამ-  
ჭირდება და მომიზნადეთო. ამ ორში პირ-  
ველი წესის დადება ვადისა იმითი არის ძნე-  
ლი, რომ ბევრი გამოჩნდება ფულის პატ-  
რონი, რომ ვადით არ მოინდომებს ფულის  
შეტანასა. მფორე კი, როდესაც ყველა ამ-  
ნათის პატრონს შეუძლია მოითხოვოს,  
ოღონდ კი წინათვე გამოაცხადოს რომ ამ-  
დენი დღის შემდეგ ფული მომიზნადეთო, —  
ეს წესი უფრო ბევრს კუთაში დაუჯდება;  
საბანკო ამხანაგობას წინათვე შეუძლია მო-

ამხანაგის ფული და ამანათის პატრონსაც  
ყოველ დაჭირებაში შეუძლია მალე ფული  
მიიღოს. ეს წინათვე შეტყობინების ვადა  
ამხანაგობის საერთო კრებამ უნდა დანიშ-  
ნოს. ვადა სხვა და სხვა გვარი უნდა იყოს  
ფულის ზომის დაგვარათ. ხუთი ან სამი მა-  
ნეთი ვინც ამანათთ შეიტანა და თხოულობს,  
იმას შეიძლება მაშინვე მიეცეს, რა დროსაც  
მოითხოვს პატრონი; სამი თუმნის პატრო-  
ნისთვის შეიძლება ორი კვირის ვადა დაი-  
ნიშნოს, რომ თხოვნის გამოცხადების შემ-  
დეგ უმკველათ ორ კვირაზე მიეცეს ამანათი;  
ხუთი თუმნისამ ათ თუმნისამდინ ერთ თვეზე  
დაბურუნდეს. ეს ვადა ჩვენ აქ მაგალითად  
მოვიყვანეთ. ყველა ადგილს ყველა საბანკო  
ამხანაგობამ თავ-თავისი შეძლება და ღო-  
რისძიება უნდა ასწავლოს, ყველა გარემოება  
უნდა გაშიშჯოს და ისე დააწესოს ეს ვა-  
დები; ზოგან იქნება საჭირო იყოს მომატე-  
ბა ან დაკლება ვადისა, ისე უნდა მოუმზატონ  
ან დააკლონ ზემოხსენებულ ვადებსა.

მ უ ლ ი ო ც ლ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე წ მ ი.  
საბანკო ამხანაგობა ამანათთ შემოტანილ  
ფულზე სარგებლის ზომასა ნიშნავს საერთო  
კრების გადაწყვეტილებით. ეს გადაწყვეტილი  
ზომა სარგებლისა უფრო ხანგრძლივის დროს-  
თვის უნდა დაიდოს. შემდეგ კიდევ შეუძ-  
ლია მოშალოს და სარგებლის ზომა სხვა  
დასდესა. სარგებლის ზომა იმაზე ჰკიდია, რა  
ადგილს და რა თემში არის საბანკო ამხ-  
ნაგობა, და თუ ამხანაგობას უნდა რომ უფ-  
რო ბევრმა შემოიტანოს ამანათთ ფული,  
მეტი სარგებლის ზომა უნდა დანიშნოს; თუ  
ნაკლებთა სურს ფული, უფრო ნაკლები  
სარგებელი უნდა დასდეს. ამასთან ერთი  
წესი კი უნდა არ დაიფიქოს ამხანაგობამ,  
რომ რასაც სარგებელს გასესხებულ ფულზე  
უნდა იღებს, ამანათთ მიღებულ ფულზე სა-  
მით ნაკლები უნდა მისცეს ვთქვით ათ თუმნ-  
ში სასესხებელ ფულზე რომ წელიწადში ერთი  
თუმანი აიღოს სარგებელი, ამანათთ მიღე-

ბულ ფულში ამხანაგობამ შეიძლება მანეთი  
უნდა აძლიოს. ამასთანავე ხსიცი შეიძლება,  
რომ ამხანაგობამ დიდის ხნით შეუწყველ-  
ლათ ერთი ზომა სარგებლისა დანიშნოს, ეს  
იმაზე ჰკიდია, რაგორას ხალხშია საამხანაგო  
ბანკი. თუ ამხანაგები სხვა და სხვა დამო-  
რებულ სოფლებში არიან, ასე რომ სო-  
ფელსა და სოფელს შუა ათი ვერსია, ამის  
თანა ადგილას მალ მალ სარგებლის ზომის  
შეცვლა კარგი არ არის, ამიტომ, რომ სა-  
ნამ ყველა გაიგებდეს, დრო გავა და ბევრი  
კაცი მოერიდება, ფულს ხალისით არ შეი-  
ტანს, იტყვის რა ვიცი ხვალ რა სარგებელს  
დანიშნენო. თუკი დიდისხნით დანიშნევენ  
სარგებლის ზომასა, ბევრი მსურველი გამო-  
ჩნდება ამანათთ ფულის შემტანი, რომ  
დიდის ხნით შეიტანოს. ყველაზე უკეთესი  
იქნება რომ ერთი წლის ვადით, ან ექვსის  
თვით დანიშნონ სარგებლის ზომა.

მ უ ლ ი ო ც ლ ა მ ე ც ა მ ე ტ ე წ მ ი.  
როდესაც ამანათთ შემოტანილი ფულის  
სარგებლის ვადას ნიშნავს ამხანაგობა უნდა  
დააწესოს რომ ან ა) სარგებელი შეტანაზე  
დანიშნული ვადის შემდეგ მისცეს პატრონ-  
სა, ვთქვათ ექვსი თვის შემდეგ, ან ბ) სარ-  
გებელი მისცეს ანგარიშის წლის გათავების  
შემდეგ ან კიდევ გ) საკუთარი განსხვავებუ-  
ლე პირობა დასდეს ამანათის პატრონთანა.  
მაინც და მაინც სარგებლის მიცემის ვადა  
ამხანაგობამ ამანათის შემოტანილგან ერთ  
წელიწადზე მეტი არას დროს არ უნდა დას-  
დეს. როდესაც ამანათის დაბრუნების ვადა  
არ არის დანიშნული და ამანათის პატრო-  
ნისაგან მოთხოვნის დრომდინ არის შემო-  
ტანილი, ამანათის გატანის დროსვე ჯერო-  
ვანი სარგებელიც თან უნდა მიეცეს ფუ-  
ლის პატრონსა. მაგრამ ამასთან ისეც საჭი-  
როა, რომ სარგებელი დღიურათ კი არ უნ-  
და მიეცეს, ისე უნდა იანგარიშონ რომ, მრ-  
თელი ერთი თვე ან ორი კვირა გამოიღო-  
დეს და ისე რომ იმაზე რაც მეტი დღეებ



მოვიდეს იმისი სარგებელი აღარ ჩაითვალოს, რაც ორ კვირაზე ან ერთ თვეზე მეტი დღე-ღამე გამოვა იმისი სარგებელი არ მიეცემა ფულის პატრონსა, ეს მეტი დღეების ანგარიში იმიტომ არ უნდა იყოს, რომ მეტის მეტი წერილი ანგარიშები გამოვიდოდა და ბანკის მმართველებს ძალიან გაუძნელებს დღიურ ანგარიშების თვალსა. ყველა სასოფლო საამხანაგო ბანკებში ასეა მიღებული.

მ უ ხ ლ ი ო ც და მეთ ო თ ხ მე ტ ე წ მკ. რადგანაც ამანათი ფულის მიღებისა და სარგებლის მიცემის წესი საერთო კრებისასგან არის დანიშნული, ამისა გამო სხვა ცალკე პირობა აღარ არის საჭიროს ამანათის პატრონისთვისაც და ბანკისთვისაც. ფულის პატრონმა ეს დადებული პირობა ან სრულათ უნდა მიიღოს ან არა. სხვა ცალკე პირობა, როგორც შინაურობაში ფულის გამოსესხებლმა და ამდგმა იციან ხოლომე, აქ ბანკში არ უნდა იყოს. ბანკი ამანათის პატრონს მართლაც ანგარიშის წიგნსმისცემს, პატრონისა ან იმისი სურვილითსხვის სახელობაზე და იმაში არის მოხსენებული ყველასთვის დადებული პირობა და იმაზევე იწერება ყოველგვარი ანგარიში ფულის პატრონისა და ამხანაგობისა, ფულის აღებაცა და ამანათით შეტანაც.

პეტ. უმიკაშვილი.

## აზებუი

ამ უკანასკნელს ჟამს ლაპარაკია ორ რკინის გზის გაკეთებაზედ. ერთი გზა უნდა გაყვებოდეს ქალაქიდან ბაქომდის და მეორე კავკაზში. ამ ორ გზაზეცხლა ის ლაპარაკია, რომელ ადგილებში უნდა გავიდეს. ბაქოს გზა ორის გზით შეიძლება წავიდეს. ერთგზა განჯაზე და მეორე სიღნაღზე, რაკვირგელია რომ ჩვენის ხალხისათვის უფრო სასარგებლო იქნება სიღნაღზე გასული ზა. მთელი კახეთი და ქიზიყი გადარჩება

შუამთის საძველ ხეობასა და გომბორის ქედსა და მეორეთ დაუხლოვდება მთელ ქართლსა და იმერეთსა. როგორცა ლაპარაკობენ, ხარჯი მეტი არ მოვაო, გინდ სიღნაღზე გასულა, გინდ განჯაზე. თითონ რკინის გზისთვისაც კარგი იქნება, რადგანაც შემოსავალი უფრო მეტი იქნება, ამიტომ რომ სიღნაღზე უფრო გზის პირებში დიდი ხალხია დასახლებული და განჯის მხარეს კი ცარიელ მიწებზე გაივლის. ამისთვის განჯეთებში სწერენ, რომ თუ ძალიან დიდი დაზრკოლება არ გამოჩნდა სიღნაღის გზის გაშინჯვის შემდეგ, უუქველად ქიზიყზე გაივლისო რკინის გზა.

მეორე გზა კავკაიას არაგვის და თერგის ხეობაზე გავა ან კიდევ რაჭაზე გადავა. ამ ორში ერთ ერთი მაშინ იქნება გადაწყვეტილი, როცა კარგა გაშინჯავენ. ამ ჟამათ ამ კავკაის გზებსა შინჯვენ. კავკაიედამ კიდევ სხვა გზა კეთდება რუსეთისაკენ და ერთი წლისწლისახვედრის უკან გათავდება. ქალაქიდამ კავკაეში ასე ადრე არ გაკეთდება, რადგანაც მთების გათხრა დასჭირდება. ერთ ადგილს ხუთი ვერსი კლდეში უნდა გვირაბი გაიტანონ და ამა რასაკვირველია ათი თხუთმეტი წელიწადი მინც გაივლის. ეს გზა რომ გათავდება, ჩვენნი მხარე მთელ განათლებულ ქვეყნებთან დაახლოვდება რკინის გზითა. აქამდინ შეზღვას კაცე ვერ ასცდება, ვისაც საეპკრო აქეს საფრანგეთში. რაკვი გათავდება, ორი ჩქარი გზა გვექნება რუსეთისაც და საფრანგეთისაც.


ჩვენ ყური მოეკართ, რომ კახეთში აღაზან გამოვლა, ეაჩნაქანში ერთ გლენკაცს ისეთი გუთანი მოუგონია, რომ სამი უღელი ხარი ან კამეჩი უნდებოა. იქ ისეთი სახნაეი ადგილებია, რომ რვა-ცხრა უღელი უნდებოდა. თუ ეს ამბავი მართალია, ძალიან შესანიშნავი უნდა იყოს, ამიტომ რომ დღევანდლამდე უცხოქვეყნებიდამ მოტანილი გუთნები ან ძვირია ან კიდევ ზოგი

არა დგება და ან გლენებმა არ იციან რომელი როგორია. ამ ახალ მოგონებულ გუთანს თითონ გლენთ აკეთებოა და იფთხა ჯდებაო. ვისაც კი შეეძლოს, ეთხოვთ ეს ამბავი დაწერილობით შეგვატყუბინოს და თუ მართალია გლენის სახელი, ბინა და გუთნის ფასიც შეგვატყუბინოს. ამისთანა საჭიროა რამ უუქველათ უნდა ყველამ შეიტყოს.

ამ წელს დიდი შიმშილია რუსეთის ერთს ადგილს (სამარის გუბერნიაში), სამიწელ საცოდაობას ამობენ გლენების ყოფისას: არც პური მოხვლიათ, არცარა სხვა მოხვლიათ. ეს ადგილი წინა დროს პირველი პურის მადანი იყო და ეს სამი წელიწადია, რაც ცუდი მოსავალი მოდის და წრეულს სრულეზით არ ყოფილა. ამისა გამოთ ცხლა მთელ რუსეთში ფულს აკრებენ. თითონ მმართველობაც მილიონ მანეთსა ნიშნავს გლენების საწველებლათ.

ამ წელსვე ინდოეთის ერთ ნაწილში (ბენგალიაში) შიმშილია. ეს ქვეყანა ინდოიზებს უჭირათ და იქაურ მმართველობას სამუშაო საქმეები მოუშადაგია ხალხისათვის და მუშაობის ფასათ პურსა და საჭმელს მისცემს. ესლავე აქა იქა ეპკრებისაგან პურსა ყიდულობენ და ამხადებენ ხალხის მოსახმარებლათ. ამისთანავე საცა შიმშილი უფრო გაძირელდება, გზების ხარჯი არ უნდა გამოართვან. ამას გარდა მმართველობა ცდილობს იმისთანა კაცები შეპკრიბოს, რომ დამშეულებათთვის დაიწყონ შემეწობის მოპოვება, ფულითა, პურითა და მუშაობითა.

ამ ჟამათ ქართლში გაუმართათ სოფელს ოძისში საამხანაგო ბანკი, ეს ძალიან სასიამოვნო ამბავია ჩვენთვის. „სახოფლო განეთი“ ავტო თითქმის სამი წელიწადია ამ საქმეზე ლაპარაკობს და იმეღია რომ ეს ლაპა-



რაკი უბრალოთ არ ჩაიგორდა. იმედი გვაქვს ოძის ბანკის ამბავი დაწვრილებით შევატყობინოთ ჩვენ მკითხველებს.

ამ ზაფხულს თრიალეთზე ერთმა ჩვენებურმა უმაწვილმა კაცმა ახელედინა ერთი ყველის ქარხანა გაუმართა რამდენსავე ქართლის მებატონეებსა; ახლა ამ ქარხნის უფრო კარგა ვაკეთებისათვის მთავრობას ფულს საზოგადოებას პირობას აძლევს, რომ სათემოთ გლეხებსაც გაუმართავ ერთ ქარხანასაო. გლეხობის სათემო ქარხნის გამართვას კობში აპირობს, როგორც ვათადებდა ეს საქმე ჯერ არა ჩანს. კობი მართლა კარგი ადგილია, მაგრამ ბაღაბის ნაკლებობას უჭირვან. უფრო თრუსოს ხეობა სჯობია; იქვე კობთან ახლოს არის. მაინც და მაინც ჩვენში თუ როდესე ყველის ქარხანა გამართა ვინმე ქართლ-კახეთში ევრაფერს ვერ გააწყობს. ისევე მითის ადგილები უნდა მოიხაზოს თუშეთში, ფშაბ-ხევისურეთში, მონღევეტში, არაგვის ხეობაში. იმერეთის მხარესაც უფრო ისეთი კუთხე უნდა მოსძებნოს კაცმა; საცა საქონელი მრავალია და ერბოსა და ყველის ვაკეთება ეხელს. ვახშირებით იციან. საერთოთ ჩვენში რასაც ადამიან, ხელსა ჰკიდებს იმისთანა ადგილს უნდა მიჰყოს ხელი, საცა ის საქმი ეხლა თითონ ხალხში დაწყებულია და წინ წაწევის ელის.

ქ ა რ თ ლ ი დ გ ა ნ  
გ ვ წ ი რ ა ნ

ქართლში წრეწარდელის წლის სოფლის ხორაგეულობას შემდგომი ფასი სძევს: ძალიან კარგ პურს კოდს სამი მანათი (ქართლული კოდი არის რვა ჩან ხი; ჩანანი ოცი გირვანქა, მაგრამ ვაჭრები ოცდა ორ გირვანქაზედ ნაკლებს არა ხმარობ. ნ. წესიერს პურს კოდს თორმეტი აბაზი, ქეოს) შეიღი აბაზი, ასლს რვა აბაზი, დ კას რ ო მანათი, შერბას ექვსი აბაზი, სიმინდს ექვსი

აბაზი, ლობიოს კარგ წითელს ნაფუძრისას სამი მანათი, წესიერს ორი მანათი, მუხუღლას და ოპს სამი მანეთი, ფეტვს მანეთი, კარგ ლენოს კოკას (აკაური კოკა ოცი ბაზრის თუნგია) ერთი თუმანი, წესიერს—შეიღი მანეთი, კოდ კაკალს—ცხრა აბაზი. სხვა ხილ: მავალითათ თურაშაულ ვაშლს კოდია ვადაროს ოთხი მანეთი; დანაჩენთ კოდი სამი მანათი, მსხალი მილახური კოდინ გოდორს ხუთი მანეთი, მწიფელას და ხეჭექურს სამი მანეთი.

აქვე უნდა მოკლეთ მოციტანოთ წრეწარდელი წლის მოსავლის ანბავი. წელს მარცხელეულისა კარგი მოსავალი იყო ყველგან თანაართ ქართლში, მეტადრე განაფხულის ნათესია: ქერისა, სიმინდისა, ასლისა, დკისა ლობიოსი, შერიისა და ფეტვისა, მხოლოდ პურმა ბევრგან აყო, რადგანაც ადგილადგილ დაოდა. მაგრამ აქვე უნდა შევინიშნოთ რომ, შარშანდლის სიძვირისა გომო ძალიან ნაკლები ნათესები იყო, რადგანაც უთესლობის გამო ღარჩათ ბიერს ანუელათ მოხნული ხნულები დაუფარცხვთ. ამასთანავე ესეც უურადლების ღირსია, ამ შემთხვევაში რომ, როგორც შარშან, ეგრეთვე წრეწარდელი ნათესები უპრობა ბევრით უკეთესი მოვიდა, ვიდრე ჩვეულებით ნათესებს ბ.

ქართლში საზოგადოთ მიღებული იყო ხოლმე თესვა ნეკინისთევი; ახლა თითონ გარემოებ მ დაბტყიკა ამ დროს თე ვა არ და გვარობს ამ მიზნით, რომ ზამთრებმა აკლეს, ხმელი და უთოვლო წეთოლადობა და თუგინდ მოდის უსტოთაკ, იცი ძალიან გეინ. ამ მიხუზით წრეწარდელი ღენიობისთევეზუდ ადრი, რე დ უთეთია, ვისაც კი შეწინული ქქანდ ზასით მოხსენებული გარემოება.


ღეთი მოსავალი წელ ძალიან ნაკლები იყო, ნაცარმა და ზოგდ ოთეთია ძალიან ახარადა ვენახ პურთობი მასთი გისევე ყველიღბისთე ქქანდ ხინა რხე: მა-

გრამ, რაც გადარჩა, ამითი დაზიანდა ყურმენი, ძალიან დაწიფდა და წრეწარდელი ღენიონები სწორეთ გან ხეაყებული ღირსებისა იქმნა. ახლა ამეებს დაუბტოთ ის სამწუხარო გარემოება, რომლითაც მოწის მკეთებლებისათვის ძალიან დიდი და საგრძნობელი სატანია, რადგანაც ამით ეძლევა განწირულს მდგომარეობაში. ეს ვარემოება შეეხება საქონლის სატყეარს საქონლის ჭირს. წელს ქართლში ბევრს ადგილებში ისეთი საქმე დამართა რომ, რომელს სოფელშიაც გჩნდ, მუსრი გააფლო. იმ ადგილს სადაც წინა წლებში ასი კომლი გლეხი ხარ კამბეჩიანი მოინახებოდა, ამჟამათ იქმნება ერთი გუთნის ხარი ჯარ მოგროვდეს; ნეტავი როგორც ანობენ, კაკეასის სამეფრენო საზოგადოება ნამდელიათ შეუდგეს ამ სატყეარის გამოკლევას და ამ შემთხვევისათვის რაჟე ღონის ძიება მიიღოს და ასე დრო და დრო წახდენით საქონლის ზარალისაგან დაისხნას და გამოიყენოს ჩვენი მხენელ მთესეულები.

სოფელი ტირანისი.  
18 გიორგობისთევე 1873 წელსა.  
იგ. სულხანოვი

სამეურნეო ნაწილი

ერთ ნემეცურ გავთში ერთ მამულის პატრონს, ახალი ამბავი ჩაუწყრა, რომ აქამდინ შერბასა და ქერს ეთესდი ჩემს მამულშიაო და კარგი მოსავალი არ მოდოდაო. ბოლოს ვითქვე და არეული დაეთესეო და კარგი მოსავალი მომივიდაო. ეს ამბავი ახალ ამბთ მიჩინათი ჩვენში, საქართველოში ეს დიდ ხანია იცნა. ახალციხისაკენ ქერსა და შერბის შირათა (თესენ არეულსა. ზემოხ) ებულს ამბავში მოხსებულია, რომ სათესლესი



ამისთან არევა კარგი იქნება, ყოველ ცულს სათეს მინდერებში, საცა დამალი, ცივი და გაუტყენელი მიწებია, საცა ერთის თესლისა მოსავალი ცუდი მოდისა.

ქათმის გამოკვება

ჩვენში ქათმის გამოკვება არ იციან კარგათა; ყვერულები კი ხშირია, იმერეთის ყვერული საქართველოში გათქმულია. მაგრამ იმისთანა გამოკვებილი ყვერულები, როგორც ფრანკუზებმა იციან, არსად არა ნახავს კაცი. იქაურ ყვერულს რბილი თეთრი ხორცი აქვს და მეტისმეტათ გემრიელია.

ზოგიერთ ქვეყანაში ქათამს პურითა და ლუდითა და ჩარცელითა ჰკვებამენ. ფრანკუზებმა უფრო კარგი შენახვა იციან და უფრო იაფათაცა ჯდება.

ფრანკუზები ამ გამოკვებისათვის ფეტესა ხმარობენ. ჰევენენ ფეტესა, ცომათ ურევენ და ცოტა ვერბას უშერებან. სასმელათ ცოტა შაქარ წარებს და მჭკვეთელ რძესა ხმარობენ ამ გვარათ შენახულ ქათამს მეტის მეტათ გემრიელი ხორცი აქვს. ფეტის მაგიერათ ძალიან კარგათ შეიძლება მოუხდეს ქერის ქატო.

ბატს შერიას აქმევენ და წმინდა წყალს ასმევენ. ჩვენში ცუდი ჩვეულება იციან, რომ პირუტყვის და შინაურ მფრინველს წყალს წმინდას არ ასმევენ, სულ ერთიან გინდა მღერიც და ჭუჭყიანი წყალი იყოს, გინდ წმინდაც. ეს მართალი არ არის. პირუტყვის წმინდა წყალი ძალიან აკეთებს და ამტომ ბატს და იხეს და ქათამ წყალი ყოველთვის წმინდა უნდა, რომ ხორცი კარგი გამოუვიდეს. იხეს იმ გვარივე მოვლა უნდება, როგორც ბატსა.

თუ ბატისა და იხის მალე გაუქება უნდათ, შემოსხნებულ საქმელთან ცოტა შაქარწარევი რძეცა რომ აქვს ხოლმე, ძალიან მოუხდება.

აქ მოდის: უნდა ვთქვათ რომ იქნება ი-

ერს ეუცხოვოს და თქვას მაგდენი; ხარჯით გაზდილი ფრინველი რა ხელს მოგვეცემსო. მაგრამ არ უნდა დაეიწყდე ამის მოქმედებას, რომ მყიდველი ყოველთვის არჩევს კარგ გამოკვებილსა და უბრალოთ შენახულსა. ამ გვარათ შენახულ ფრინველს ფაქი ყოველთვის მეტი ედება და ძალიან სარგებლობასაც მისცემს გამოყიდველსა.

(შემაღვი იქნება)

ახალი შემოდგებულ ქვეითკირის სახლი. ამ უქანსენელ ვაშლს ახრანირი სახლის აშენება შეეძლებათ. არეულ კირსა და ქვიშას ურევენ მიწასა და წვრილათ ნამტვრევ ქვასა. საცა კედელი უნდა ააგონ, კედლის სიგანეთ აქეთ და იქით ფიცრებსა ან თუნუქას ამაგრებენ ისე რომ ერთი სახლის გარეთ იყოს და ერთი შიგნით; გვერდებშიაც აგრეთვე. მერე ქეთიკირს ამაში ასხმენ და იმდენ ხანს უშევენ, რომ სანამ წყალი გაშრებოდეს. მერე ამ ფიცრებს მოშორებენ და მეორე მხარეს გააკეთებენ კიდევ ქეთიკირის ჩაახვილად. მასუკან ქვემოთი მალა ააქეთ ეს ფიცრები, და ასე ამ გვარათ სახლის კედლები მომზადდება. ეს ამიტომ არის კარგი, რომ კალატოზის ხარჯი არ მოუნდება ტაოხანთ აშენებულზე მაგარა, აგურის ხარჯი არ მოუნდება ამასთანავე ზამთარში სიცივის არ შეუშევენს ამგვარი შენობა და ზღვრულში საქმაოდ გრილი იქნება. კარგი იქნება ჩვენში შემოღებულმა კაცებმა საცადო

სამედიკო ნაწილი

ქვეითის ნაწილი ბევრი არ არის, რომ

იხეს და იხეს მალე უფრო იმითია სხვა. რომ გადასდები აეთმყოფობა, რომ უფრო ყაწყალობის მტერია. ბევრ

გადასადებს სნეულებას წამალი ვერ უზოგენს როგორც ხოლერას, კირს; მაგრამ ყველის კი ძალიან ადვილი წამალი უზოგენს მსწავლულმა ექიმებმა. ეს წამალი ყველის აცრია.


ჩვენში თუმცა დიდხანია აცრა შემოიღეს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სოფლებში დღევანდლამდე გლეხობა ძალიან ერიდება და ყმაწვილებს არ უტრევენებს ყვაილსა. ამისაგან ჩვენში როცა კი ყველი ჩნდება, ძალიან მრავალი ყმაწვილი იხრაცება და დიდებსაც არ აკლებს. ყველას გავიხილო აქეთ რომ ჩვენში ისეთი ადგელია, რომ აეთმყოფთათეს ანებებენ ნთესაყები, და მსოფელიც კი შორდება. ზოგჯერ გლეხები თავის სოფელსაც კი აგდებენ და სხვაგანა ხიზნდებიან, სანამ ყვეილი ვადივიდეს.

რა არის მიზეზი რომ ამისთანა გუკრებაშია ხალხი ამ აეთმყოფობის დროსა და წინათვე თადარიგს არ იჭერს და ყმაწვილებს არ უტრევენებს? დაუდევრობაა და უცოდნელობა. ზოგი კიდევ ამბობს ანგელოზებს ვერაღ ვერ წაუვალთო და წამლობა ანგელოზებს ევაერებთო.

თუ კი სხვა აეთმყოფობის წამალს ეცემბთ და ეცდილობთ თაივდან მოვიშორით და ჩვენი ხორცი და სისხლი გადავარჩინათ ყოველ ზიანსა, ყვეილისთვისაც ასე არ უნდა ვიზრთო?

დიდი ხანი არ არის, რაც მსწავლულებმა შეიტყვეს, რომ არამც თუ ერთხელ უნდა ყველის აცრა, ყოველ შეიღრეა წელიწადში ერთხელ უეჭველათ საქარია, რადგანც პირველი აცრილის ძალა შეიღრეა წლამდინ მიდის და თუ კაცს სახდელი ყვეილი შეეყრა, ხშირად იქნება რომ გაუძვივდეს და თანაც ვადიტანოს.

ამიტომ ზოგჯერ ასე ჰგონიან, რომ თუნდა ყვეილი აცრილი ჰქონდეს, თუნდა არა, სულ ერთიან, ბევრი აცრილი კაცი



გადაწყვილია. ეს უწყველათ იმისაგან არის, რომ დროს გაუფლავა და ძალა აღარ დარჩენია აქრასა, თორემ ვისაც აცრალი აქეს ყვეილი, ყოველთვის ადვილათა ხდილობს. რასაკვირველია სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა, რომ ყვეილის დროს არ გაციედეს ავათმყოფი.

ყოველთვის უნდა ცდა, რომ რამდენიც შეიძლება ყმაწვილსაც და დიდსაც ადრევე აუტრევიონ ყვეილი და იმ დროს არ მოუსტადონ, როცა გადასადები ყვეილი ხშირდება. ეს ამიტომ არის საჭირო, რომ აცრასთან გადასადები ყვეილიც არ დგერთოთ; ორივე ყვეილის ერთად ხედა ძნელი და საფუქრებელია. ქალაქებში და სოფლებში ყვეილის ექიმები და ფერშლები უცრიან. სოფელში ბაკრჯულ ფერშლები დადიან ყვეილის ასატრეკლათა და გლეხები ყმაწვილებს კი არ უნდა მაღაყდენენ, პირ იქით თითონ უნდა სძებნიდნენ.

ყვეილის ავათმყოფების დროს წამლობა

ყვეილით ავათმყოფის დროს ზოგიერთ ქვეყნებში ამ გვარ წამალსა ხმარობენ, რომ არ გადაედოთ ყვეილი. იღებენ ცოტა კუბრასა და წმინდა წყალში ასხამენ, მერე კარგა აჯანჯალების შემდეგ უნდა დასდგან ორი დღე და მასუჟან ეს დაწმინდელი წამალი ბოთლებში ჩაასხან და მგრა პრობკა დაუტან. ამ გადასახის დროს ნაძირალა არ უნდა გადაყარდეს. ყვეილის გამოჩენის დროს ეს წამალი მუდამ ქდლე უნდა სეან, ორ ორი სტაქანი. ერთი სტაქანი სადილამდის ორი საათის წინათ უნდა დალიონ და ერთი სტაქანი ეახშმის წინათ ისევე. ეს წამალი ინგლისში მოუგონიათ და კარგათაც არის ნაცადი.

ვისაც ყვეილი შეჭურია, ხშირად მოხდება რომ წინაი რჩებათ და სახე უფუჭდებათ. ამისთვის ამ წამალს ურჩევენ: ავათმყოფს

ყვეილი რომ გადაუელის და მუწუკები დაუზარქდება, თერთი მელი წმინდათ უნდა დანაყან და ახალ მოხდილ მოუდღარ რძეს პირა უნდა მოხადონ და გაუტიონ ერთმანერთში, ეს მაღამა ფრთით უნდა წაუსტან და მუწუკებულ ადგილასა და როდესაც შემრგეს ეს წამალი, ხელმოგრეთ კიდევ უნდა წაუყანმდენენ ხოლმე. მელი მუწუკებში ჩირქს გაახზობს და ამისგამო ისე აღარ დაუზრეტებს და არ დაუტკნობს პირისკანსა. უდღლარი რძის ნაღები კი მელს ნებსას არ აძლევს, რომ შალე გაახზოს, და რბილათ ინახავს მუწუკებსა.

და მწერი ს მორჩენა

ბევრ გვარი წამალი არის, რომ ხმარობენ ცეცხლით ან მდღლარე წყლით დამწერისათვისა. ზოგი ფქვილსა ხმარობს, ზოგი დანაყლ ნახშირსა, მაგრამ ამაგებით ყოვეთვის დიდხანს უნდება წამლობა და რამ დენსავე კვირას გასტანს. ყველაზე უკეთესი წამალი ზეთია. მდღლარეზე ან ცეცხლზე დამწვარს ადგილას მამინათვე ზეთში კარგათ ამოვლებული ზამბა უნდა დაადონ, და დღეში ერთხელ უნდა გამოუტყვალონ. ბევრი რომ გასწიოს ამ წამლობამ, სამი ოთხი დღე. თუ დამწვარს მამინათვე მიაშურეს, არცკი აბურცდება და თუ კი აბურცებულა ზეთიანი ბანა ნელნელა გამოაწყავს ბუშტებსა და მალეც მოაჩენს. ბევრს გამოუტდოა, რომ მდღლარე წყალში დამწვარი ხელი ერთ დღეშივე მოაჩენია. მდღლარე წყლით ერთ კაცს გულ მუცელი სულ დაჰფუჭვალა; ზეთიანი ზამბა ეფარებინათ და სამს დღეზე მოაჩენილიოყა.

**სამეცნიერო ნაწილი**

ჰაერში რა ხდება და რა უნდა იცოდეს მხენელ მთესველმა.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრს ქვეყანაში მიწის მოსავალი კარგი მოდის; მაგრამ ჩვენ რომ დავთვალოთ იმავე თესვს, ან სულ წახდება, და ან თუ მოვა, ისიც უხეიროა. ამის მიზეზი ის არის, რომ თესლი არ ეთანხმება ადგილს და ჰაერს, თუნდ ჩვენი მიწა ვერაოდეს კიდევ იმ თესლისთვის. მამასადამე მიწის მოსავალს, კარგ მიწის გარდა, შესაფერი ჰაერიც უნდა.

ჰაერი საჭიროა ადამიანისთვისაც და პირუტყვისაც; უჰაეროთ ვერც ადამიანს და ვერც პირუტყვს ვერ შეუძლიან სიცოცხლე ამიტომ რომ ერთიც და მეორეც ჰაერს სუნთქავენ; აი ეთქვათ: კოკობში რომ ჩავსვათ თაგვი და ჰაერი გამოვწყოთ, ენახათ რომ მალე მოკვდება. აგრეთვე კაცი ღრმა ქაში რომ ჩაუდეს და შიგ კარგახანი დარჩეს, ხმარობა; ამიტომ რომ ჰის ძირში ცოტა ჰაერია და რაც არის ისიც უფარვისია კაცის სიცოცხლისთვისა. როგორც ადამიანისთვის და პირუტყვისთვის არის საჭირო ჰაერი, ისე ხისთვის და ბალახისთვის, პურისთვის და მალახისთვის ერთი სატყეით მცენარისთვის. ფოთლებს ისეთი პატარა ნახერცება აქეს, რომ თვალით არცკი ჩანან; აი აქედგან ბალახი შეისუნთქავს ჰაერს, როგორც კაცი ცხვირით და პირით და ეს ჰაერი დაუელის ხოლმე მთელს ხეს. ფურცლებს რომ წაუსეთ რამე ისეთი, რომ ამ ნახერცებში ჰაერს არ გაუშვებდეს, ხე მალე გახმება.

ჰაერი მალამლე იცვლება: ხან თბილია, ხან ცივი, ხან ნესტიანი, ხან ხმელი; ხან წყნარი, ხან ქარიანი. ამ ცვლილებებზე ჰქონდა ჰაე, რომელშიაც სცხოვრებენ და სუნთქვენ მცენარები.

ენახოთ რისგან მოხდება ეს ცვლილება;

პირველთ რისგან იცვლება სიბო და სი-  
ცივე? ზაფხულში, როცა მზე ამოდის, ჯერ  
არამცხუ არა თბილა, თითქმის ცივა კიდევ  
და ბალახსაც ნაში აქვს. რამდენიც მზე მალ-  
ლა აღის; იმდენათ ჰაერი უფრო და უფრო  
თბება და ბალახ-ც შრება. შუადღისას, როცა  
მზე თითქმის თავთ დაგუყურებს, ძალიან  
ცხელა. შემდეგ, როცა მზე ნელ-ნელა ჩა-  
დის, ჰაერი გრილდება. აქედან ჩანს, რომ  
სიბო და სიცივე მზისაგანა ყოფილა; და  
როცა მზე პირდაპირ დასცქერის დედამიწას,  
შუადღისას, დიდი სიცხე მაშინ არის, დილით  
და საღამოთი, რადგანაც მზე პირდაპირ არ  
დასცქერის მიწას, უფრო გრილა. ამავე მიზე-  
წით ზაფხულში უფრო ცხელა, ვიდრე ზამ-  
თარში; ზამთარში მზე პირდაპირ არა დროს  
არ დასცქერის მიწას, ამიტომაც ზამთარში  
სიცივეები და ყინვები. რადგანაც მზე სამ-  
ხრეთის ნაწილს უფრო მეტი ხანი დაჰყუ-  
რებს პირდაპირ ვიდრე ჩრდილოეთის მხარე-  
ებზე, ამიტომაც სამხრეთის ნაწილები უფრო  
თბილია ჩრდილოეთის ნაწილებზე.

ამას გარდა ჰაეზე დიდი ძალა აქვს წყა-  
ლს. აი ვთქვათ ზღვის ან დღე წყლის სიხ-  
ლოცეს როგორც ზაფხულში არა ცხელა  
ძალიან, აგრეთვე არც ზამთარში ცივა ძალი-  
ან. ამიტომაც ზღვის ან დიდი წყლის სი-  
ხლოცეს უფრო თბილია იმ ადგილებზე,  
რომელნიც შორს არიან წყლებზე და რად-  
განაც დიდი წყლები იმ მხარეს არიან, საი-  
თაც მზე ჩადის, დასავლეთისკენ, ამიტო-  
მაც დასავლეთის მხარები თბილია, ვიდრე  
აღმოსავლეთის მხარეები

როგორც სიბო, აგრეთვე სიცივეს ჩვენ-  
საგათა ვგრძნობთ; ჩვენ შეგვიძლიან ვთქ-  
ვათ, რომ ერთი დღე უფრო თბილია ან  
ცივა მეორეზე; რამდენათ არის ერთი დღე  
ცივი ან თბილი მეორეზე შევითქვამთ მაშინ,  
როდესაც დაეთვლით გუშინდელის და დღე-  
წინდელი სიბოს ძალას და შევადარებთ  
ერთმანეთს. სიბოს დათვლა ჩვენ ადვილათ

შეგვიძლიან. არის იმისთან იარაღი, რომელ-  
საც ტერმომეტრი ჰქვია. ეს ტერმომეტრი  
გაყოფილია ხაზებით რამდონსამე ნაწილათ,  
რომლებსაც გრადუსს ეძახიან. ტერმომეტრ-  
ზე ერთი დიდი ხაზია გასული, რომლიდა-  
ნაც სთვლიან სიბოს და სიცივეს; ამ ხაზს  
ზემოთ სთვლიან სიბოს და ქვემოთ—სიცი-  
ვეს. ყოველ დღე რომ ვთვალოთ ეს ხაზები  
და შევადაროთ ერთმანეთს, შევითქვამთ  
რამდენია სიბო დღეში, კვირაში, თვეში  
და წელიწადშია. ამ რიგათ შეტყობილია,  
რომ ნაკლები სიბო მთელი დღის გან-  
ვლობაში მზის ამოსვლის წინათ არის, ამი-  
ტომაც გაზაფხულზე ამდროს ჩვენ მცენა-  
რებს კარგათ უნდა უვლიათ ყური, რომ  
უშეტყვას სიცივემ არ ავნოს. მზის ამოსვლის  
შემდეგ სიბო შუადღემდის თანდითან მა-  
ტულობს; შუადღის შემდეგაც სიბო კიდევ  
მატულობს, მაგრამ ნაკლებათ. და ორს, სამს  
სათუხეძალიან ცხელა. მეოთხე სათიდან ვიდ-  
რე მზის ჩასვლამდის სიბო კლებულობს; მზის  
ჩასვლის შემდეგ სიბო უფრო ძალიან კლე-  
ბულობს და მტკრედი სიბო მზის ამოვლის  
წინეთ არის. ამგზით შეტყობილია, რომ  
უშეტყვის სიცივე იანვარშია. თებერვალში  
ცოტათი უფრო თბილა, მარტში სიბო  
კარგა მატულობს, აპრილში უფრო მეტად,  
მაისში დიდი სიბოა, თბათვეში სიბო  
თუმც კიდევ მატულობს, მაგრამ ნაკლებათ,  
კათათვეში და ხან მარიაშობისთვეში ძლი-  
ან ცხელა. შემდეგ თვეებში სიბო კლებუ-  
ლობს, ქრისტიშობისთვეში ისევ სიცივე დე-  
ბა. თბილი თვეები თბილებს რომ შეუერ-  
თოთ და ცივი ციებს, წელიწადი ოთხად  
განაწილდება. ზამთარი, რომელშიაც არიან  
ქრისტიშობისთვე, იანვარი და თებერვალი;  
გაზაფხული—მარტი, აპრილი, მაისი; ზაფხუ-  
ლი—თბათვე, კათათვე, მარიაშობისთვე, შე-  
ნოდგომა—ენკენისთვე, ლეინობისთვე, გიორ-  
გობისთვე. თუმცა გაზაფხული მარტით იწყობა,  
მაგრამ გაზაფხულის მინდერის მუშაობა მა-

რტში კი არ იწყობა ცოტა გვიან და ყოველს  
ალაგს თავისი დრო აქვს. ამიტომაც შემო-  
დგომით ერთსა და იმავე დროს არა თავდება  
შემოდგომის მუშაობა.

მხენულ-მთესველისთვის ძალიან საჭიროა  
იცოდეს დრო სიცივისა გაზაფხულზე და  
შემოდგომაზე, ამიტომ რომ იმდრო-  
ლამე ყინვები იცის; ზამთრის ყინვები არ  
არაინ მანებებენი, თუ ზამთარში მცენარე  
თავლის ქვეშ არის. გაზაფხულის და შემო-  
დგომის ყინვები ან ცივი ჩრდილოეთის  
ქარისგან მოხდება, ან მშვიდს და მოწმენ-  
დილ ღამის დროს. როდესაც გაზაფხულზე  
თბილი დღეების შემდეგ, დაბრუნდება ჩრ-  
დილოეთის ცივი ქარი, მაშინ იცის დიდის  
ყინვები, რომელიც არის შემდეგ თითქმის  
ხუთი ან ექვსი და იშვიათად სამი დღის შე-  
მდეგ იცის; ესე მოხდება მშვიდსა და მო-  
წმენდილ ღამეში; მიწა, დღისით გაზაფხულ-  
ლია მზისგან, ღამე, როდესაც ჰაერი ცივეუ-  
ბა, დედამიწა სიბოს ცაში უშვებს და ისევე  
ცივედება, მიწის ნაში და ტენი იყინება; ეს  
მაშინ მოხდება, როცა ცა წმინდა და სუფ-  
თაა და ჰაერი მშვიდათ არის. თუ ცაში ღრუ-  
ბელი ან ქარია, ყინვა არ იქნება.

მაშასადამე გაზაფხულზე თესლი იმ დროს  
უნდა დათესონ, რომ ნათესი ამოვიდეს და  
გამარდის ამ ყინვების დაწყებამდის; თუ ამ-  
დროს არ შეიძლება დათესვა, სჯობს გაზა-  
ფხულის სიცივეების შემდეგ დათესოს; აგ-  
რეთვე შემოდგომაზე იმ დროს უნდა დაი-  
თესოს, რომ ჯეჯილმა დაჰფაროს მიწა  
ყინვის დაწყებამდის. ყინვის დაწყების დროს  
ბოსტნის პატრონმა უნდა იცოდეს ესეები.  
კომბოსტოს გაზაფხულის ყინვა არ წახადნის,  
თუ გადარგვის და ყინვის დაწყების შუა ოთხ-  
ნი ან ხუთი დღე გავა, უშეკველად წახდება  
თუ ყინვა მეორე ან მესამე დღეს იქნება  
გადარგვის შემდეგ. ამიტომ კარგი მგობს  
ტნები კომბოსტოს სთესავენ ფეჩებში მარტა-  
და აპრილში, თბილი დღეები რომ დადგება.



გადარგავენ ხოლმე; ამ რიგათ გადარგულს კომპოსტოს ვერ აწენებს გაზაფხულის სიცივე, ამიტომ რომ კომპოსტო იმ. გრებს ფესვებს სიცივის დაწყებამდის, რომელიც გორგობი იღეს იცის (23 აპრილს). წმინდა ღამეებში მებოსტნეებიც და მებღებიც მცენარეებს აფარებენ ჭილობს და ამრიგათ გადაარჩენენ ხოლმე დილის სიციბებებს ზაფხულში სითბოს დაწყებით პურიც და ბაღიანიც იზრდება და მწიფობს; ამასთანავე, ყველამ იცის, რომ გოლივანს და ცხელს ზაფხულში თიბება, მკა და ლეწვა უფრო მალე თავიდება, ვიდრე ცივს და ნოტიოს ზაფხულში. ეს იმი გან მოხდება, რომ ცხელს ზაფხულში მცენარე უფრო მალე ჰკრებს სამყოფ სითბოს, ვინც ცივს და ნოტიოსს უმეტესი სიცივე და სიცივეც მცენარეს წაახდენს; უთოველო ზამთარში თესლი ხშირათ ფუჭდება; ფოთლიან ზამთარში კი დიდი ყინვის დროსაც არ წახდება მცენარე, ამიტომ რომ ზამთარში მიწაში, თოვლის ქვეშ თბილა, ვინც მიწას ზემოთ; ზაფხულში კი მიწაში ცივა და მიწის ზემოთ თბილა; ამას ზემოთ კარგათა ვერძობობ, როცა ზაფხულში მიწაზე ვწევებით. მაშ მცენარე იზრდება ორს სითბოში: ფესვი ერთში მიწის ქვეშ და მცენარეში თვით მცენარე ჰერში, ამითა სარგებლობენ მებადეგებ: ალუბალს აყვებენ ხოლმე გვიან იქ, სადაც ადრე აყვებულს ალუბალს წადენს გაზაფხულის ყინვა, იმ ალუბალს გვიან აყვებენ ხოლმე; ამისთვის მებადეგები, ჯერ კიდევ გაყინულს მიწას ალუბლის ძირში აფარებენ ფოთლებს, რომ არ დადეს თოვლი ყინვის გაქვამდის; ამის გამო თუქსა ჰერში თბილა, ფოთლო დაფარებულ მიწაში კი ცივა და ამიტომ ალუბალი არ ყვები. ყინვების შემდეგ იღებენ ფურცლებს, მიწა თბება, ალუბლები ყვებიან და გადაარჩებიან ხოლმე ყინვებს.

ამგვრათ ეხედავთ, რომ მიწაზე სითბო მზისაგან არის; ამას გარდა ზეე სინათლესაც გვაძლევს და ეს სინათლე სჭაროა მცენარესათვის. რასთვის არის საჭირო სინათლე მცენარესთვის ამას შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ბ.

# „დროება“

1874-ში გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: **ბ ფ ი ლ ის** — „დროებას კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. **ჭ უ თ ა ის ს — ანტ.** ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ბარემე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები:

Въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты „ДРОЕБА“.

„დროება“ ეღირება გაგზავნით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„ქრებული“ და „დროება“ ერთად ეღირება გაგზავნით: ერთის წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

მისაც ამ წლის „დროების“ ფასი არ შემოუტანია; ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

## ი ს ყ ი დ ე ბ ა

სთვლისში, მართარის წიგნებს მალაზიაში, ხილზე და ცნობილიან ცისაში, პოლიციის გვერდით და აგრეთვე სხვა ქალაქებში.

### თ. გრიგოლ ორბელიანის

ლ ე ქ ს ე ბ ი

ფასი ათი შაური.

სიბრძნე სიცოცხლისთვის  
ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ის ა .

მეორედ გამოცემული.

ფასი ათი შაური.

ქალაქს გარეთა მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ გამოცემლისაგან დაიბარონ ამ ადრესით:

სთვლისს, პეტრე უმიკაშვილს სწიხ ხატის ქუჩაში, ხერხეულიძის სახლში.

# „მუაკი“

საკოლიტიმო და სალიტერატურო გაზეთი

ბაზლის კერაში ერახელ

1874 -ში გამოვა იმავე პროგრამით და მიმართულებით, როგორათაც ჯამდის გამოდიოდა ფასი გაზეთისა, გაუგზავნელად და გაგზავნიათც ერთის წლისა — ხუთი მანეთი, ნახევარის წლისა — სამი მანეთი; ხელის-მოწერა მიიღება სთვლისში, მუაკის რედაქციაში, აგრეთვე მ. წატუროვის მალაზიაში, შამტაროვის სახლებში.

რედაქტორი და გამომცემელი დოკტორი ბრიგოლ აწრუნი.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Вѣ Тифлисѣ, въ редакцїи армянской газеты „Муакъ“